დამტკიცებულია: შპს ცხუმ-ეგრისის დირექტორის
2023 წლის **25** იანვრის **N 01- 03** ბრძანებით

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

ზუგდიდი 2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს დოკუმენტი აწესრიგებს **კოლეჯის შპს ცხუმ-ეგრისის** დასაქმებულთა, პროფესიულ სტუდენტთა და კოლეჯის სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ის საკითხები რაც არ არის დარეგულირებული ამ დოკუმენტით რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით შრომის უსაფრთხოების შესახებ და საქართველოში მოქმედი სხვა საკანონმდებლო რეგულაციებით.

პოლიტიკის განხორციელებისათვის ორგანიზაციას დასახული აქვს შემდეგი მიზნები:

- შეფასებული რისკების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა- შესრულება;
  - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სამუშაო სივრცეში ინციდენტების, შემთხვევების და პოტენციური საფრთხეების მინიმუმამდე შემცირების მიზნით;
  - ნულოვანი ინციდენტი;
  - ადამიანებისა და გარემოსათვის პოტენციური ზიანის მინიმიზაცია;
  - პროცესების მუდმივი გაუმჯობესება, პროცესების ინსპექტირების შედეგების/შეუსაბამობების მართვა;
  - პერსონალის კომპეტენტურობის და უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესება

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. დამსაქმებელი – კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისი;

2.2. დასაქმებული – ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი/ნარდობის(მომსახურების) ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს;

2.3. პროფესიული სტუდენტი-პირი, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს სასწავლო ხელშეკრულება;

2.4. სხვა პირი – მშობელი/მეურვე, მიმწოდებელი, ვიზიტორი, პრაქტიკის განმახორციელებელი პირი და სხვა;

2.5. სასწავლო სივრცე – კოლეჯის სასწავლო ადგილის/გარემოსა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებული და სხვა პირი იმყოფებიან/გადაადგილდებიან სასწავლო დანიშნულებით ;

2.6. სამუშაო ადგილი –კოლეჯის ტერიტორია, სადაც დასაქმებული და სხვა პირები უშუალოდ ახორციელებენ შრომით საქმიანობას;

2.7. შრომის უსაფრთხოება – დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისაგან დაცვის სისტემა, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ,პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვა ღონისძიებებს;

2.8. პრევენცია – იმ ღონისძიებებისა და პროცედურების სისტემა, რომლებსაც ახორციელებს დამსაქმებელი ან რომელთა განხორციელებაც დაგეგმილი აქვს დამსაქმებელს საქმიანობის ყველა მიმართულებით პროფესიული რისკების, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების ან შრომითი საქმიანობის გამო ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ან ზიანის შესამცირებლად;

2.9. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი – დამსაქმებლის მიერ დანიშნული/მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას;

2.10. საგანგებო ჯგუფი-კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი,რომელიც პასუხისმგებელია კოლეჯში სახანძრო უსაფრთხოების დაცვაზე

2.11. საფრთხე –კოლეჯის გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებები,რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას;

2.12. რისკი – კოლეჯის გარემოსა და სამუშაო /საგანმანათლებლო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვაპირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან მისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;

2.13. მძიმე სამუშაო – სამუშაო პროცესი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს უპირატესად ადამიანის ორგანიზმის საყრდენ-მამოძრავებელ აპარატსა და ფუნქციურ სისტემებზე (გულ-სისხლძარღვთა,სასუნთქი და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს მის საქმიანობას, და რომელიც ხასიათდება ფიზიკური დინამიკური დატვირთვით, ასაწევი და გადასაადგილებელი ტვირთის მასით, სტერეოტიპული სამუშაო მოძრაობების საერთო რაოდენობით, სტატიკური დატვირთვის სიდიდით, სამუშაო პოზის ფორმით, სხეულის დახრის ხარისხით და სივრცეში გადაადგილებით;

2.14. მავნე სამუშაო – კოლეჯის გარემო ან/და სამუშაო პროცესი, რომლის ადამიანზე ზემოქმედებას გარკვეულ პირობებში (ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა) შეუძლია გამოიწვიოს პროფესიული დაავადება,

შრომისუნარიანობის დროებითი ან მდგრადი დაქვეითება, გაზარდოს სომატური და ინფექციური დაავადებების სიხშირე და დაარღვიოს შთამომავლობის ჯანმრთელობა;
2.15. საშიშპირობებიანი სამუშაო – კოლეჯის გარემო ან/და სამუშაო პროცესი, რომელიც შეიძლება გახდეს მწვავე დაავადების, ადამიანის ჯანმრთელობის უეცარი, მკვეთრი გაუარესების ან გარდაცვალების მიზეზი;
2.16. მომეტებული საფრთხე – საფრთხე, რომელიც ნაკლები რისკის შემცველი სხვა საშუალებებით ვერ ჩანაცვლდება;
2.17. არაარსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის;
2.18. არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოუსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის;
2.19. კრიტიკული შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომლის დაუყოვნებლივ გამოსწორება სავალდებულოა;
2.20. მავნე ფაქტორები – გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორები, რომელთა ადამიანზე ზემოქმედებას გარკვეულ პირობებში (ინტენსივობა, ხანგრძლივობა და სხვა) შეუძლია გამოიწვიოს პროფესიული დაავადება, შრომისუნარიანობის დროებითი ან მდგრადი დაქვეითება;
2.21. პროფესიული რისკი – პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული კოლეჯის გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის უშუალო და პირდაპირი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;
2.22. რისკის შეფასება – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას;
2.23. საფრთხის შემცველი ფაქტორები – გარემოსა და სამუშაო პროცესის ფიზიკური, ქიმიური,ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს პროფესიული დაავადება ან ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება:
2.24. ფიზიკური ფაქტორი – კოლეჯის გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორი ან ფაქტორთა ერთობლიობა, რომელმაც შეიძლება ფიზიკური შეხებით ან მის გარეშე ფიზიკური ზიანი მიაყენოს დასაქმებულს და რომელიც შეიძლება გახდეს მწვავე დაავადების, ჯანმრთელობის უეცარი, მკვეთრიგაუარესების ან გარდაცვალების ხანგრძლივობის შესაბამისად;
2.25. ქიმიური ფაქტორი – სამუშაო სივრცეში არსებული ქიმიური ნივთიერებები და სუბსტანციები,რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა;
2.26. ბიოლოგიური ფაქტორი – კოლეჯის გარემოში არსებული პათოგენური და არაპათოგენური მიკროორგანიზმები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა;
2.27. სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა – სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
2.28. საშიში შემთხვევა – იდენტიფიცირებადი მდგომარეობა (ტექნიკური ინციდენტი, სიმაღლიდან ვარდნა, აფეთქება, ხანძარი, მავნე ნივთიერების გაჟონვა და სხვა), რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ზიანი ან/და სხვა არასასურველი შედეგები;
2.29. პროფესიული დაავადება – დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება კოლეჯის გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით, იწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას მოკლე პერიოდში ან ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;
2.30. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები – ტექნიკური და სხვა საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ინდივიდუალურად, დასაქმებულზე საფრთხის შემცველი ფაქტორების გავლენის შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად,სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით;
2.31. კოლექტიური დაცვის საშუალებები – ტექნიკური და საინჟინრო საშუალებების ერთობლიობა,რომლებიც კონსტრუქციულად და ფუნქციურად დაკავშირებულია კოლეჯის გარემოსა და სამუშაო პროცესთან და განკუთვნილია საფრთხის შემცველი ფაქტორების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;
2.32. ზედამხედველი ორგანო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური.

მუხლი 3. დამსაქმებლის ვალდებულებები

3.1. კოლეჯი თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ვალდებულია:

3.1.1. დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და კანონმდებლობით დადგენილი წესები;

3.1.2. იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას არ მიადგეს ზიანი;

3.1.3. უზრუნველყოს, რომ საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა არ შეუქმნას საშიშროება დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას;

3.1.4. აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;

3.1.5. უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების/შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება საქართველოს შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად;

3.1.6. შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინოს მისი დოკუმენტირება(დანართი #6);

3.1.7. უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (საჭიროების შემთხვევაში)და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი;

3.1.8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს კოლეჯის გარემოს შემდეგი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორები;

3.1.9. უზრუნველყოს კოლეჯის დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის,ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება:

ა)შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;

ბ)სამუშაო პროცედურების, კომპიუტერული საოფისე ტექნიკისა და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სხვა აღჭურვილობის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

გ)ხანძრის/საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ;

დ)არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

ე)პირველადი გადაუდებელი დახმარების შესახებ.

3.1.10. დამსაქმებელი ვალდებულია გათვალისწინებული სწავლების (ტრენინგების) ჩატარება უზრუნველყოს:

ა) დასაქმებულების დაქირავებისას,პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისას მათ მიერ სამუშაოს შესრულების /სწავლის დაწყებამდე;

ბ) დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;

გ) ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების ან/და სასწავლო/სამუშაო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;

დ) განმეორებით, განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით.

3.1.11. სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟი ტარდება სამუშაო საათებში. ამ აქტივობებისთვის გაცდენილი დღეები საპატიოდ ჩაითვლება და ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ, სამუშაო საათების პროპორციულად. სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟი დასაქმებულებსუტარდებათ უფასოდ;

3.1.12. დამსაქმებელმა შესაძლოა ჩაატაროს შემდეგი სახის ინსტრუქტაჟები:

ა) საწყისი ინსტრუქტაჟი - უტარდება ყველა ახლად მიღებულ თანამშრომელს/ ახალ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს მიუხედავად მისი განათლებისა და პროფესიის მიხედვით (თანამდებობაზე) მუშაობის სტაჟისა. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო, შრომის უსაფრთხოების, პირველადი სამედიცინო დახმარების ინსტრუქტაჟის პროგრამა დგება სახანძრო, შრომის უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სტანდარტების, ნორმების, წესების, ინსტრუქციების გათვალისწინებით;

ბ) განმეორებითი ინსტრუქტაჟი - უტარდება ყველა თანამშრომელს/პროფესიულ სტუდენტს, რომლის სწავლის ხანგრძლივობა ერთ წელზე მეტს შეადგენს. მიუხედავად მისი კვალიფიკაციისა, განათლებისა და მუშაობის სტაჟისა, არა ნაკლებ წელიწადში ერთხელ. ინსტრუქტაჟის ჩატარებისას მოწმდება მათ მიერ ხანძარსაწინააღმდეგო, შრომის უსაფრთხოების, პირველადი სამედიცინო დახმარების მოთხოვნების, კოლეჯის საევაკუაციო გასასვლელების და ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებების გამოყენების ცოდნა;

გ) მიზნობრივი ინსტრუქტაჟი - უტარდება იმ თანამშრომელს,

რომელიც ასრულებს მომეტებული საშიშროების ერთჯერად სამუშაოებს (სამღებრო, საშემდუღებლო და სხვა

ცეცხლსაშიში სამუშაოები). ინსტრუქტაჟის ჩატარებისას მოწმდება მომეტებული საშიშროების სამუშაოების შემსრულებლების მიერ ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებების გამოყენების, ხანძრის დროს მოქმედებების და ევაკუაციის, შრომის უსაფრთხოების და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესების ცოდნა;

3.2. დამსაქმებელი ვალდებულია გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი;

3.3. თუ დამსაქმებელი კანონის შესაბამისად ნიშნავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან შესაბამისი მომსახურების გასაწევად იწვევს სხვა უფლებამოსილ პირს(გარე მომსახურება), ეს არ ათავისუფლებს დამსაქმებელს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 4. პრევენცია

4.1 დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად,კოლეჯის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით უნდა შეაფასოს ეს რისკი, უნდა განაახლოს რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:

4.1.1.იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;

4.1.2.შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;

4.1.3.იზრუნოს საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე;

4.1.4.შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს კოლეჯის გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს;

ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და კოლეჯის მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისათვის საჭირო სახსრებს;

4.1.5.გამოიყენოს საჭიროების შემთხვევაში კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

4.1.6.უზრუნველყოს სამუშაოს ადაპტირება დასაქმებულთან, განსაკუთრებით – სამუშაო სივრცის მოწყობის, სამუშაო აღჭურვილობის, სამუშაო და სწავლების მეთოდების შერჩევის თვალსაზრისით,მონოტონური სამუშაოს შემსუბუქებისა და დასაქმებულის ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენის შემცირების მიზნით;

4.2 დამსაქმებელი ვალდებულია შეავსოს რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი შეინახოს კანონმდებლობით დადგენილი წესით(დანართი # 3);

4.3 კოლეჯის სპეციფიკიდან და რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად დამსაქმებელი ვალდებულია:

4.3.1.დასაქმებულებს ჩაუტაროს შესაბამისი სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟი((დანართი # 4), რაც აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში (დანართი #5)

4.3.2.უზრუნველყოს რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე(ასეთის არსებობის/გაჩენის შემთხვევაში) მხოლოდ იმ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის დაშვება, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სპეციალური ინსტრუქტაჟი;

4.3.3.გამოავლინოს და აღრიცხოს საფრთხის შემცველი სამუშაო ადგილები;

4.3.4.უზრუნველყოს დაცვისა და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება(ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4.3.5.კოლეჯი აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით(საჭიროების შესაბამისად);

4.3.6.საჭიროების შემთხვევაში დასაქმებული უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა;

4.3.7.უზრუნველყოს დასაქმებულისათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

4.3.8.არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება, და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით

განსაზღვროს დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს.

მუხლი 5. შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა

5.1.კოლეჯს დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;

5.2.შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/სამსახური აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და ინსტრუმენტებით. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის/სამსახურის მიერ თავისი მოვალეობების შესასრულებლად შესაფერისი დრო იმგვარად უნდა შეირჩეს, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი. აღნიშნული დრო ჩაითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, არ უნდა აღმოჩნდეს სხვა დასაქმებულებთან შედარებით უარეს მდგომარეობაში შრომის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით;

5.3.შრომის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია (უნარები და ტექნიკური ჩვევები, რომლებიც დასტურდება აკრედიტებულ ორგანიზაციაში პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატით);

5.4.შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი ვალდებულია:

5.4.1.საჭიროების შესაბამისად მიიღოს პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები;

5.4.2.განახორციელოს აუცილებელი და მყისიერი კომუნიკაცია სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან;

5.4.3.პირადად ან/და დანიშნული/მოწვეული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ან სპეციალური სამსახურის მეშვეობით დაუყოვნებლივ აცნობოს ყველა დასაქმებულსადა სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს, რომლებსაც ემუქრებათ ან შეიძლება დაემუქროთ მომეტებული საფრთხე, პრევენციული და საევაკუაციო ზომებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ;

5.4.4.მომეტებული საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა და გასცეს სამუშაოს შეწყვეტის ბრძანება, რათა დასაქმებულებმა და სამუშაო სივრცეში მყოფმა სხვა პირებმა შეძლონ სამუშაო ადგილებიდან უსაფრთხო ზონაში გასვლა;

5.4.5.დამსაქმებელს უფლება არ აქვს, მოსთხოვოს დასაქმებულს ან სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს სამუშაოს გაგრძელება თუ არსებობს მომეტებული საფრთხე;

5.4.6.დამსაქმებელმა უნდა იზრუნოს, რომ მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში თითოეულ დასაქმებულს/სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს, რომელსაც არ შეუძლია მიმართოს უშუალო ხელმძღვანელს, ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, დატოვოს სამუშაო ადგილი, საკუთარი ან სხვა პირების უსაფრთხოების დასაცავად, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული საფრთხის შედეგები.

5.5.დასაქმებულს უფლება აქვს:

5.5.1.დამსაქმებელთან განიხილოს შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების ყველა საკითხი;

5.5.2.დამსაქმებლისაგან მიიღოს ინფორმაცია საფრთხის შემცველი ფაქტორების, რისკის შეფასების შედეგების, შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად დამსაქმებლის მიერ მიღებული ზომების, სამედიცინო გამოკვლევების შედეგების და ზედამხედველი ორგანოს რეკომენდაციებისა და მითითებების შესახებ;

5.5.3.უარი თქვას იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას; საფრთხის არსებობისას დატოვოს სამუშაო ადგილი ან სახიფათო ზონა;

5.5.4.მიმართოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, ზედამხედველ ორგანოს, თუ სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების ნორმები სათანადოდ დაცული არ არის.

5.6.დასაქმებული ვალდებულია:

5.6.1.იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით და დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ წესებს;

5.6.2.ითანამშრომლოს დამსაქმებელთან და დასაქმებულთა წარმომადგენელთან შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის შეასრულოს სამუშაო, გამოიყენოს მასალები, საშიში ნივთიერებები და სხვა საშუალებები დამსაქმებლის ინსტრუქციებისა და მუშაობისას მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

თვითნებურად არ გამორთოს, არ შეცვალოს ან არ მოხსნას სამუშაო ტექნიკის, აპარატის,ინსტრუმენტის, დანადგარის ან აღჭურვილობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამცავი მოწყობილობები(ასეთის საჭიროების და არსებობის შემთხვევაში) და აღნიშნული მოწყობილობები დანიშნულებისამებრ გამოიყენოს;

5.6.3.ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;

5.6.4. დაუყოვნებლივ წარუდგინოს დამსაქმებელს ან მის წარმომადგენელს ინფორმაცია ნებისმიერი ხარვეზის შესახებ, რომელმაც შეიძლება სამუშაო სივრცეში საშიშროება შეუქმნას შრომის უსაფრთხოებას ან გამოიწვიოს უბედური შემთხვევა ან საშიში შემთხვევა, აგრეთვე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ამ ხარვეზის აღმოფხვრაში;

5.6.5. დაესწროს დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ შრომის უსაფრთხოების შესახებ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს;

5.6.6. გაიაროს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევები იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომლის შესრულებისთვისაც აღნიშნული გამოკვლევების გავლა აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

5.6.7. დაიცვას დამსაქმებლის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, მითითებები და რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

5.6.8. არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;

5.6.9. დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს;

5.6.10. ითანამშრომლოს დამსაქმებელთან ან/და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭირო იქნება სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვისათვის ნებისმიერი დავალების ან ზედამხედველი ორგანოს მოთხოვნების შესასრულებლად;

5.7. კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირს უფლება აქვს:

5.7.1. დამსაქმებელს მოსთხოვოს ინფორმაცია დაკავშირებული საკითხების შესახებ;სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;

5.7.2. უარი თქვას იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას; საფრთხის არსებობისას დატოვოს სამუშაო ადგილი ან სახიფათო ზონა;

4.8.სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი ვალდებულია:

5.8.1. იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით,სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით და დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს;

5.8.2. დაიცვას დამსაქმებლის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, ექთნის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებები და რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

5.8.3. არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;~

5.8.4. გონივრული ეჭვის არსებობისას დამსაქმებლის მოთხოვნის შემთხვევაში გაიაროს შემოწმება იმის დასადგენად, იმყოფება თუ არა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში;

5.8.5. დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.

მუხლი 6. სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები და პროფესიული დაავადებები

6.1.სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგების და ერთ ჯერზე დაშავებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, შემდეგნაირად:

ა) მსუბუქი უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება
შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა;

ბ) საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა –
შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;

გ) მძიმე უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება
ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;

დ) ფატალური უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა
პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;

ე) მასობრივი უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა.

მუხლი 7. სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება

7.1. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის დირექტორს სამუშაო სივრცეში მომხდარი იმ უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც სხვა პირს შეემთხვა და რომელსაც დასაქმებული შეესწრო, ან რომელიც დასაქმებულს შეემთხვა, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას აძლევს(დანართი # 7).

7.2. დამსაქმებელს აგრეთვე უნდა ეცნობოს ნებისმიერი უბედური შემთხვევის, საშიში შემთხვევისა და მავნე კოლეჯის ფაქტორების შესახებ (ასეთის დაფიქსირების შემთხვევაში);

7.3.კოლეჯის დირექტორი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი ზომები;

ბ) სამუშაო სივრცეში მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევის დროს დაიცვას

სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის ადგილი და უცვლელად შეინარჩუნოს იგი კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელთა მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად ან სერიოზული ეკონომიკური ზიანის თავიდან ასაცილებლად. თუ სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის ადგილზე სიტუაცია იცვლება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილების ან სერიოზული ეკონომიკური ზიანის თავიდან აცილების მიზნით, დამსაქმებელმა უნდა შეადგინოს სამუშაო ადგილზე არსებული სიტუაციის შესაბამისი აღწერილობა სათანადო მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების მოკვლევის ხელშეწყობისათვის;

გ) სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ კანონით გათვალისწინებულ ორგანოებს;

დ) სამართალდამცავ ორგანოებს – სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დროს და მაშინ, როდესაც უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტები დანაშაულის ნიშნებზე მიანიშნებს;

ე) აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები და პროფესიული დაავადებების შემთხვევები,რაც გულისხმობს კომპეტენტური უწყებების წარმომადგენელთა, შრომის უსაფრთხოებისსპეციალისტისა და დაშავებული დასაქმებულის, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამისსაშუალებას იძლევა, ერთობლივი მონაწილეობით შესაბამისი უბედური შემთხვევის და პროფესიული დაავადების მიზეზის დადგენას.

7.4.თუ უბედური შემთხვევა დასაქმებულს სხვა დამსაქმებლის სამუშაო სივრცეში შეემთხვა, ეს დამსაქმებელი ვალდებულია დაზარალებული დასაქმებულის დამსაქმებელს დაუყოვნებლივ აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ;

7.5.დამსაქმებელი ვალდებულია შეინახოს საშუალო სიმძიმის, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების შესახებ მტკიცებულებები, რომლებიც უნდა შეიცავდეს იმ მონაცემებს, რომლებიც საჭირო იქნება შესაბამისი უბედური შემთხვევის აღწერისათვის, თუ სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის შედეგები მოგვიანებით გამოვლინდება, და მიიღოს სათანადო ზომები ასეთი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;

7.6.მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის დეტალური პროცედურები, აგრეთვე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესი და ფორმა, მოკვლევის პროცედურები, ანგარიშგების წესი და ვადები განისაზღვრება კანონის შესაბმისად

სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ

მუხლი 8. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების სფერო და საგანი

8.1.ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც კოლექტიური დაცვის საშუალებებით ან დამსაქმებლის მიერ მიღებული ზომებით, მეთოდებით და პროცედურებით შეუძლებელია რისკების თავიდან აცილება ან ვერ ხერხდება მათი საკმარისად შემცირება;

8.2.რისკების შეფასების საფუძველზე კოლეჯი კონკრეტული დასაჭიროებისათვის განსაზღვრავს და დასაქმებულებს მიაწოდებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს და საჭიროების შემთხვევაში ადგენს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესს.

8.3.კოლეჯი საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენას, მათ გამართულ სამუშაო მდგომარეობას და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას სათანადო მომსახურების (მოვლა, შეკეთება, შეცვლა და სხვა) გზით.

8.4.სამუშაო აქტივობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებისას უნდა მოხდეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება განისაზღვრება კონკრეტული შემთხვევისათვის დირექტორის ბრძანებით;

8.5.კოლეჯი (საჭიროების შემთხვევაში) გამოყოფს სამუშაო ტანსაცმელს/ფეხსაცმელს იმ დასაქმებულებისათვის, რომელთა სამუშაო იწვევს ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ხშირ დაბინძურებას და/ან სწრაფ ცვეთას;

8.6.კოლეჯის დირექტორის დავალებით განსაზღვრული შესაბამისი პირი გააკონტროლებს დასაქმებულთა/პროფესიულ სტუდენტთა მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სათანადოდ გამოყენებას(სხვადასხვა შემთხვევისათვის შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა პირი).

8.7.ისეთ სამუშაო/სასწავლო სივრცეში, სადაც ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება სავალდებულოა, კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს, რომ არ დაუშვას არცერთი პირი შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე.

8.8.ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს;

8.9.დამსაქმებელმა დასაქმებულებს უნდა მიაწოდოს ადეკვატური ინფორმაცია და ინსტრუქციები ინდივიდუალური დაცვის საშუალების თითოეული დეტალის, მათი გამოყენების წესის და საჭიროების შესახებ.

8.10.დამსაქმებელმა უნდა ჩაატაროს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული სწავლება და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების დემონსტრირება.

მუხლი 9. კოლეჯში წესრიგის დაცვის მექანიზმები

9.1. წესრიგისა და უსაფრთხოების მართვის ადმინისტრირებისათვის შენობაში განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები; ვიდეოკონტროლის სისტემის მუშაობის მონიტორინგს უზრუნველყოფს დირექტორი და უსაფრთხოების სპეციალისტი

9.2. უსაფრთხოების სპეციალისტი რომელიც ვალდებულია:

✓ არ დაუშვას კოლეჯის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა;

✓ აწარმოოს კოლეჯის შესასვლელ-გამოსასვლელების კონტროლი;

✓ არ დაუშვას კოლეჯის ტერიტორიაზე აშკარა ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ზემოქმედების ნიშნების მქონე პირი;

✓ არ დაუშვას კოლეჯის ტერიტორიაზე შეიარაღებულ პირთა შესვლა/ყოფნა სპეციალური ნებართვის გარეშე;

✓ აღკვეთოს კოლეჯის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, ასევე, თამბაქოს მოხმარება კანონმდებლობით აკძალულ ადგილებში; აღნიშნული საშუალებების მომხმარებელ პირებს დაუყოვნებლივ დაატოვებინოს კოლეჯის ტერიტორია;

✓ მეთვალყურეობა გაუწიოს წესრიგისა და უსაფრთხოების წესების დაცვას სასწავლო პროცესში და უზრუნველყოს იმ პირთა მიერ შენობის დატოვება, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობას ხელს უშლიან;

✓ წესრიგის დარღვევისას გამოიყენოს კანონმდებლობით დაშვებულ ყველა ღონისძიება წესრიგის დამრღვევის მიმართ, ხოლო სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართოს დასახმარებლად შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;

✓ უზრუნველყოფს კოლეჯის მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომა მათი დაზიანების /განადგურების თავიდან ასაცილებლად;

✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, საჭიროების შემთხვევაში, აღმოუჩინოს დახმარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას კოლეჯის ტერიტორიაზე მათი შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილება.

9.3. მოთხოვნები ავარიული სიტუაციებისას

ა) სამუშაო ადგილზე ავარიული მდგომარეობის/მოწყობილობის გაფუჭების, გატეხვის ან/და სხვა გარემოების აღმოჩენისას, დაუყოვნებლიც შეწყვიტეთ მოწყობილობის ექსპლოატაცია, მოწყობილობისთვის ელექტროენერგიის/გაზის/წყლის/ან სხვა მიწოდება/ მიღებული ზომების შესახებ დაუყოვნებლივ მიაწოდეთ ინფორმაცია უშუალო ხელმძღვანელობას/შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლ პირ(ებ)ს და იმოქმედეთ მკაცრად მათი მითითებების შესაბამისად.

ბ) ავარიული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეთ როგორც ხელმძღვანელობას, ისე ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც. იმოქმედეთ მკაცრად მითითებების შესაბამისად ავარიული სიტუაციის ლიკვიდაციის წესების დაცვით.

მუხლი 10. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

10.1. კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების სივრცე, საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ახორციელებს - მედდა;

10.2.კოლეჯი იღებს ვალდებულებას სამკურნალო საშუალებების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი საშუალებების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ მათი გამოყენება;

10.3.მედდა უფლებამოსილია კოლეჯის ადმინისტრაციას მოსთხოვოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო ინვენტარის შეძენა: წნევის საზომი აპარატი, თერმომეტრი, ჰიგიენის ნივთები და სხვა, აკონტროლოს მათი ხარისხი, შენახვა, და გაცემა. აღრიცხოს სპეციალურ ჟურნალში გახარჯული, დარჩენილი და ჩამოწერილი საშუალებები. აწარმოოს პირველადი დახმარების აღმოჩენის რეგისტრაციის ჟურნალი;

10.4 მედდა ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწიოს კოლეჯში მყოფ პირებს. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომელიც სცილდება ექიმის კომპეტენციის ფარგლებს, მის მიერ გამოიძახება სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გატარდება შესაბამისი ზომები;

10.5.კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია მედდის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

მუხლი 11. კოლეჯის საქმიანობისათვის ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესები. (ამოღებულია)

მუხლი 12. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისა და განკარგვის წესი და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია (ამოღებულია).

მუხლი 13. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები

ზოგადი წესები

13.1 კოლეჯში ხანძარსაწინაღმდეგო უსაფრთხოებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილია და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა(დანართი#1), რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის დატოვება;

13.2 კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით/ცეცხლმაქრებით, რომლებიც განთავსებულია სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილ ადგილებზე და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან და ახსნილია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა/მსმენელებისა და პერსონალისათვის;

13.3 კოლეჯის შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელი;

13.4 საევაკუაციო გასასვლელის კარი თავისუფლად უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ. როდესაც კოლეჯში მიმდინარეობს სწვლა და ტერიტორიაზე არის პერსონალი კარი უნდა იყოს ღია;

13.5 ადამიანთა მასობრივი თავშეყრის სათავსებში ხალიჩები და იატაკის სხვა საფენები(ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული იატაკზე;

13.6კოლეჯის შენობა-ნაგებობაში აკრძალულია:

13.7სიგარეტის მოწევა;

13.8ცეცხლსაშიში და აალებადი ნივთიერების ნებართვის გარეშე შეტანა, გამოყენება და შენახვა(გარდა საჭიროებით განსაზღვრული შემთხვევებისა);

13.9გათბობა/გაგრილების მოწყობილობების თვითნებურად ჩართვა/გამორთვა და რეგულირება ტემპერატურის შეცვლის მიზნით;

13.10საევაკუაციო გზების და გასასვლელების (დერეფნის, კიბის ბაქნების, კიბის საფეხურების, კარების) სხვადასხვა მასალით, ნაკეთობებით, მოწყობილობებით, საწარმოო ნარ-ჩენებით, ნაგვით და სხვა საგნებით ჩახერგვა, აგრეთვე საევაკუაციო გასასვლელის კარების აჭედვა;

13.11საევაკუაციო გზებზე კედლებისა და ჭერის, აგრეთვე კიბის საფეხურებისა და ბაქნების გასაწყობად, მოსაპირკეთებლად და შესაღებად წვადი მასალების გამოყენება;

13.12ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში დასაშვებია მხოლოდ ამ დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით;

13.13სასწავლო წლის დაწყებამდე კოლეჯის შენობაში კოლეჯის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სასწავლო გარემოს მზადყოფნის შემოწმება ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების ფარგლებში.

მუხლი14.სახანძრო საფრთხოების მოთხოვნები სასწავლო ლაბორატორიებისთვის/ადვილადაალებადი და წვადი ნივთიერების შენახვა-ექსპლუატაციისათვის.

14.1 ლაბორატორიებში სწავლების დაწყებამდე პროფესიული მასწავლებელი/სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პროფესიულ სტუდენტებს ინსტრუქტაჟი კონკრეტულ შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოს დროს უსაფრთხოების ზომების შესახებ;

14.2 სასწავლო ლაბორატორიაში აკრძალულია პროფესიული სტუდენტების მიერ რეაქტივების გამოყენება, ელექტრო და სხვა გამახურებელ ხელსაწყოებთან მუშაობა პროფესიული მასწავლებლის ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის გარეშე. ცდების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ცდის ხელმძღვანელს(პროფესიულ მასწავლებელს);

14.3 ადვილაალებადი და წვადი სითხეების და წვადი ნივთიერებების მარაგი უნდა ინახებოდეს სპეციალურად

მოწყობილ სათავსებში;

14.4 ქიმიური რეაქტივები, რომელთა ერთმანეთთან, წყალთან და ჰაერთან ურთიერთქმედება შეიძლება გახდეს ხანძრის ან აფეთქების მიზეზი, უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, შესაბამის შეფუთვაში, უწვ კარადებში. ქილებზე, ბოთლებსა და სხვა შეფუთვებზე, სადაც ინახება ქიმიური რეაქტივები და ნივთიერებები უნდა იყოს წარწერები დამახასიათებელი საშიშროების აღნიშვნით: „ხანძარსაშიში“,„ფეთქებადხანძარსაშიში“, „შხამიანი“, „ქიმიურად აქტიური“. ლაბორატორიის სათავსებში ადვილაალებადი და წვადი სითხეები და აირები სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს შეფუთულ და მსხვრევისაგან დაცულ ტარაში;

14.5 ლაბორატორიის სათავსებში ყველა სამუშაო, რომელსაც თან ახლავს ფეთქებადხანძარსაშიში ორთქლის და აირის გამოყოფა, უნდა ჩატარდეს გამწოვ კარადაში. აკრძალულია სამუშაოების ჩატარება გამწოვ კარადაში, რომელსაც აქვს გაუმართავი ვენტილაცია;

14.6 გამწოვ კარადაში უნდა იყოს გათვალისწინებული ჰაერის გაწოვა, თუ ჩატარებულ სამუშაოებს თან ახლავს ხანძარფეთქებადსაშიში ორთქლისა და აირების გამოყოფა;

14.7 ლაბორატორიის მაგიდის ზედაპირი უნდა იყოს შესრულებული უწვი მასალებისაგან;

14.8 ადვილაალებადი და წვადი სითხეების კანალიზაციაში ჩაღვრა დაუშვებელია;

14.9 ხანძარსაშიშ სათავსებსა და ხანძარფეთქებადსაშიშ მოწყობილობებზე(ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს გამოკრული ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები;

14.10ქიმიური ნივთიერებები და მასალები უნდა ინახებოდეს ცალკე სათავსებში ჯგუფებად ფიზიკური, ქიმიური და ხანძარსაშიში თვისებების ერთგვაროვნების მიხედვით;

14.11ადვილადაალებადი ნივთიერებების შენახვისას(ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს მიღებული ზომები, რომლებიც გამორიცხავენ მათ შეხებას ხის მასალებსა და სხვა ორგანული წარმოშობის ნივთიერებებთან;

14.12სათავსებში, სადაც ინახება ხანძრის დროს გალღობის უნარის მქონე ქიმიური ნივთიერებები, უნდა იყოს გათვალისწინებული ნალღობის თავისუფალი დაღვრის შემზღუდავი საშუალებები (ქიმები, ზღურბლები)

მუხლი 15. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები კოლეჯში ელექტროაპარატურის/დანადგარების მოხმარებისათვის

15.1 სწავლის/სამუშაოს დაწყებამდე აუცილებლად უნდა შემოწმდეს სამუშაო ადგილი, აღჭურვილობა - აუცილებელი სამუშაო აპარატურა, კომპიუტერი, პერიფერიული მოწყობილობები, როზეტები/გამომრთველები, ელექტროსადენები, მათი მთლიანობა და საიმედოობა. ვიზუალური დეფექტის ან არასაიმედოობის აღმოჩენისას მუშაობა აკრძალულია;

15.2 ელექტროდანადგარების, კომპიუტერული ტექნიკის და ელექტროქსელების ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელმა პირ(ებ)მა უზრუნველყოს ელექტრომოწყობილობების, დამცავი აპარატურის და ელექტრო-ქსელების პროფილაქტიკური დათვალიერების და გეგმიურ-გამაფრთხილებელი შეკეთების დროული ჩატარება და იმ დარღვევების დროული აღმოფხვრა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი;

15.3 საგანმანათლებლო/სამუშაო ადგილი უნდა იყოს საკმარისად განათებული, ელექტრონათურები/ლამპები მუშა მდგომარეობაში და სუფთა;

15.4 დაუშვებელია ძაბვის ქვეშ ელექტრონათურების მონტაჟი, ელექტრო, კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობების, ქსელების გაწმენდა და შეკეთება;

15.5 მოწყობილობების შეკეთება წარმოებს მხოლოდ სპეციალისტების/ტექნიკოსების მიერ აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნების დაცვით;

15.6 უჩვეულო, არა დამახასიათებელი ხმაურის, სუნის აღმოჩენისას, დაუშვებელია მოწყობილობის ექსპლუატაცია. მოწყობილობა უნდა გამოირთოს ელექტროქსელიდან(გამორთვის წესის შესაბამისად). შატყობინეთ გაუმართაობის/ინციდენტის შესახებ უშუალო ხელმძღვანელს. გაუმართაობის აღმოფხვრამდე დაუშვებელია მოწყობილობის გამოყენება;

15.7 სადენების იზოლაციის დაზიანებისა და მოკლე ჩართვების წარმოშობის თავიდან ასაცილებლად იკრძალება:

✓სადენზე რაიმეს ჩამოკიდება;

✓სადენების შეღებვა;

✓სადენების გაყვანა გაზისა და წყალგამტარ მილებზე, გამათბობელი სისტემის ბატარეებზე;

✓როზეტიდან ჩანგლის გამოქაჩვა სადენის მეშვეობით. მოწყობილობის ქსელიდან ამორთვა უნდა მოხდეს უშუალოდ ჩანგლის კორპუსზე ხელის მოკიდებით.

15.8 აკრძალულია არასტანდარტული (თვითნაკეთი) ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამოყენება;

15.9 სამუშაოს დასრულების შემდეგ ყველა მუშა მოწყობილობა (ელექტროდანადგარები და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები) დანადგარი უნდა გამოირთოს ელექტროქსელიდან, გარდა იმ ელექტროდანადგარებისა რომელთა ფუნქციონალური დანიშნულებით და/ან ექსპლუატაციის შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნებით უნდა იმყოფებოდნენ ძაბვის ქვეშ

მუხლი 16. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებისათვის
დაწესებულებაში ცეცხლმაქრების ტიპის შერჩევა და საჭირო რაოდენობის გამოთვლა უნდა განხორციელდეს მათი ცეცხლმაქრი თვისებების, სათავსის ზღვრული ფართობის გათვალისწინებით, აგრეთვე, წვადი ნივთიერებებისა და მასალების ხანძრის კლასიდან გამომდინარე;

16.1 თითოეულ ცეცხლმაქრს უნდა ჰქონდეს დამღა, რომელზეც აღინიშნება ცეცხლმაქრის ნომერი, მისი მარკა, დატუმბვის ან დაყენების თარიღი, შემდგომი შემოწმების თარიღი;
16.2 კოლეჯში უნდა განისაზღვროს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების აღრიცხვაზე, შენახვასა და მოქმედების მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობის და მდგომარეობის აღრიცხვა უნდა წარმოებდეს სპეციალურ ჟურნალში;
16.3 ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსება დერეფნებში, გასასვლელებში არ უნდა აფერხებდეს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციას. ისინი უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილებზე სათავსებიდან გასასვლელების სიახლოვეს, არაუმეტეს 1,5 მ სიმაღლეზე.

მუხლი 17. ზოგადი წესები საგანგებო/სახანძრო ვითარების დროს

17.1 ნებისმიერი პირი, რომელიც შეამჩნევს ხანძარს/ხანძრის კერას, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციის წარმომადგენელს. რის საფუძველზეც ჩაირთვება გამაფრთხილებელი სახანძრო განგაში (შესაძლოა სიგნალად გამოყენებული იყოს გაბმულად ზარის ღილაკზე ხელის დაჭერაც), განხორციელდება დაკავშირება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (112);
17.2 საგანგებო ვითარების დროს კოლეჯის პროფესიული სტუდენტები/მსმენელები, პერსონალი, და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებებს;
17.3 ევაკუაციის პროცესის მონაწილეები ვალდებულნი არიან დაიცვან სიმშვიდე და სიწყნარე, რათა ყველამ გაიგონოს ევაკუაციის პროცესის ხელმძღვანელი პირის (საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლი/სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის) მითითებები;
17.4 ევაკუაციის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან უნდა იმყოფებოდეს კოლეჯის პერსონალი, რომელიც დაეხმარება მას შენობის დატოვებაში;
17.5 შენობიდან გასულები აუცილებლად უნდა შეგროვდნენ შენობის მიმდებარე ეზოში, რათა დადგინდეს იმ პირთა ვინაობა, ვინც შენობაში დარჩა. მათ შესახებ უნდა ეცნობოს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, ან საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებს;
17.6 შენობის დატოვების შემდეგ შენობაში დაბრუნება დაუშვებელია საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლის/სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ნებართვის გარეშე;
17.7 საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, კოლეჯში არსებობს საგანგებო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა და ფუნქციები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები და ევაკუაციის წესები

მუხლი 18. ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია

N	მოქმედებების დასახელება	მოქმედებების წესი და თანმიმდევრობა	შემსრულებლი
1	შეტყობინება ხანძრის შესახებ	სახანძრო-სამაშველო - სამსახურის გამოძახება ნომერზე - “112”	პირი, რომელმაც აღმოაჩინა ხანძარი

2	მაუწყებლობა ხანძრის შესახებ	ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შენობაში მყოფი ადამიანებისათვის	სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი/მორიგე ჯგუფი
3	ადამიანთა ევაკუაცია შენობიდან	ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით	სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი/მორიგე ჯგუფი
4	ევაკუირებულთა აღრიცხვა	ევაკუირებული ადამიანების თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ თავშეყრის ადგილზე, მათი აღრიცხვა, ვინაობის და რაოდენობის ფიქსირება	ადმინისტრაცია
5	ხანძრის ჩაქრობა და ქონების ევაკუაცია	ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ორგანიზება მისი აღმოჩენის მომენტიდან სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლამდე; შეძლებისდაგვარად მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია/დაცვა	ადმინისტრაცია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი/მორიგე ჯგუფი
6	სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დახვედრა	სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახვედრა, ხანძ- რის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციის გადაცემა ევაკუაცია	ადმინისტრაცია

მუხლი 19. სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი

19.1. სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების მიზნით კოლეჯში ტარდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი 6 თვეში ერთხელ;

19.2. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება კოლეჯის თანამშრომლებს სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების, წარმოების და მოწყობილობების ტექნოლოგიური პროცესების სახანძრო საშიშროების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, აგრეთვე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათი ამოქმედების წესის შესწავლის მიზნით;

19.3. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება კოლეჯის ხელმძღვანელის ან სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით და ინსტრუქტაჟის ჩატარების განსაზღვრული წესის შესაბამისად;

19.4. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარებისას საჭიროა კოლეჯის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინება;

19.5. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარება ითვალისწინებს კოლეჯის თანამშრომელთა გაცნობას:

ა) ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, სათავსების, მათ შორის, საევაკუაციო გზების, წყალსადენის, ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემების მიმართ დადგენილ მოთხოვნებსა და ადამიანთა ევაკუაციის პროცესის მართვასთან;

ბ) ტექნოლოგიურიპროცესებისსახანძროუსაფრთხოებისმოთხოვნებთან,საწარმოებისდა ობიექტებისსახანძრო საშიშროების სპეციფიკიდან გამომდინარე;

გ) შენობის, სათავსების, მოწყობილობების ექსპლუატაციისა და ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებებთან;

დ) ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების წესებთან;

ე) ხანძრის დროს თანამშრომელთა ვალდებულებებსა და მოქმედებებთან, სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების წესებთან, ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების გამოყენების მოთხოვნებთან.

19.6. ხასიათის და ჩატარების პერიოდულობიდან გამომდინარე, დადგენილიაშემდეგისახის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი: საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი;

19.7მონაცემები საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟის გავლის შესახებ შეიტანება „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალში“ (დანართი #2), იმ პირების ხელმოწერით, რომლებმაც ჩაატარეს და გაიარეს ინსტრუქტაჟი.

19.8.საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება:

ა) სამსახურში ახლად მიღებულ ყველა თანამშრომელს, მიუხედავად განათლებისა და პროფესით (თანამდებობაზე) მუშაობის სტაჟისა;

ბ) სეზონურ თანამშრომლებს;

გ) კოლეჯში მივლინებულ ყველა თანამშრომელს;

დ) საწარმოო სწავლებაში მონაწილე ან პრაქტიკაზე მყოფ პირებს;

ე) ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით სხვა კატეგორიის თანამშრომელს (მოქალაქე).

19.1. საწყის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟს ატარებს კოლეჯის ხელმძღვანელი ან მისი ბრძანებით (განკარგულებით) დანიშნული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;

19.2. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება თვალსაჩინოების და სასწავლო-მეთოდური მასალების გამოყენებით;

19.3. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) მონაცემებს კოლეჯის (წარმოების) ხანძარ- და ფეთქებადსაშიში პირობების სპეციფიკის და თავისებურებების შესახებ; ბ) თანამშრომლების მოვალეობებს და პასუხისმგებლობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე;

გ) კოლეჯის ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის გაცნობას;

დ) ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დაცვის თაობაზე ბრძანებების, კოლეჯის და საამქროების სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციების, საამქროში, უბანზე, სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელ სათავსებში მომხდარი ან სავარაუდო ხანძრების ძირითად მიზეზების გაცნობას;

ე) სახანძრო პროფილაქტიკის ზოგად ზომებს და ხანძრის ჩაქრობაზე მიმართულ ძირითად მოქმედებებს.

19.4. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება ყველა თანამშრომელს, კვალიფიკაციის, განათლების, სტაჟის და შესასრულებელი სამუშაოების ხასათის მიუხედავად, კოლეჯის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით. განმეორებით ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟს ატარებს ხელმძღვანელის ბრძანებით (განკარგულებით) დანიშნული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;

19.5. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება ინდივიდუალურად ან მუშაკთა ჯგუფთან, რომლებიც ემსახურებიან ერთი და იგივე ტიპის მოწყობილობას საერთო სამუშაო ადგილის ფარგლებში, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის პროგრამის მიხედვით, სამუშაო ადგილზე.

19.6. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის დროს მოწმდება თანამშრომლების მიერ კოლეჯში დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოთხოვნების, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების, ევაკუაციის გზების გამოყენების ცოდნა.

19.7. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება:

ა) სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის და ახალი დოკუმენტების შემუშავების შემთხვევაში; ბ) საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის შეცვლისას, მოწყობილობის, ინსტრუმენტების, საწყისი ნედლეულის, მასალების

შეცვლის ან მოდერნიზაციის დროს, აგრეთვე კოლეჯის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაზე მოქმედი სხვა ფაქტორების ცვლილებების შემთხვევაში;

გ) კოლეჯის მუშაკების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისას, რომლებმაც გამოიწვიეს ან შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი;

დ) ანალოგიურ ობიექტებში ავარიების, ხანძრების შესახებ ცნობების მიღებისას;

ე) კოლეჯის მუშაკების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების არასათანადო ცოდნის შემთხვევაში.

19.8. მიზნობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება:

ა) მომეტებულ ხანძარსაშიშროებასთან დაკავშირებული ერთჯერადი ხანძარსაში სამუშაოების ჩატარებისას; ბ) ავარიების, სტიქიური უბედურებების და კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციისას;

გ) ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისას ფეთქებადსაშიშ საწარმოებში; დ) კოლეჯში ექსკურსიების ჩატარებისას;

ე) მსმენელების მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას;

ვ) კოლეჯში ადამიანთა მასობრივი თავშეყრის (50 ადამიანზე მეტი) ღონისძიებების მომზადებისას.ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟს ატარებს კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ან უშუალოდ სამუშაოების ხელმძღვანელი (ოსტატი, ინჟინერი) ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ შემთხვევებში.

19.9. მიზნობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის დასასრულს ინსტრუქტაჟის ჩამტარებელი პირი ამოწმებს მუშაკების მიერ ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების გამოყენების, ხანძრის დროს მოქმედებების, ევაკუაციის წესების ცოდნას.

20. დასკვნითი დებულებები

20.1. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი ექვემდებარება გადახედვას, რომელიც არ აღემატებს ერთ წელს; დოკუმენტში შესაძლებებლია შევიდეს ცვლილებები და დამატებები, საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

დანართი №1

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 თებერვლის ბრძანება №01-21/ნ - ვებგვერდი, 20.02.2020წ.

რისკის დონის მართვის მეთოდოლოგია

მუხლი 1

ყოველი იდენტიფიცირებული საფრთხის შემდგომ რისკის შეფასების (საკონტროლო ღონისძიებების სწორად განსაზღვრისა და დანერგვის მიზნით), რეკომენდირებულია დამსაქმებელმა განახორციელოს რისკის დონის შეფასება წარმოდგენილი რისკის დონის მართვის მეთოდოლოგიით.

მუხლი 2

1. რისკის დონის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია თითოეული კომპონენტისათვის რიცხობრივი მნიშვნელობის მინიჭება და კომპონენტთა ნამრავლის რისკის დონედ აღქმა. რისკის დონე განისაზღვრება ზიანის მიყენების ალბათობისა და შედეგის სიმძიმის კომბინაციით. რისკის დონის განსაზღვრა ხდება არა მარტო რისკის მოხდენის ალბათობისა და შედეგის შესწავლით, არამედ რისკის დონის ურთიერთდამოკიდებულებების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს რისკის დონეზე.
2. რისკის დონის განსასაზღვრად შესაძლებელია ამ დანართით გათვალისწინებული მატრიცების გამოყენება.
3. ალბათობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: კონტროლის ზომები, საფრთხის ზემოქმედების სიხშირე და საფრთხესთან დაკავშირებული პირის კატეგორია. შედეგის სიმძიმე დამოკიდებულია საფრთხის სიდიდეზე ან/და სერიოზულობაზე.
4. სავარაუდო რისკის დონის შეფასებისას დამსაქმებლის მიერ შეფასებული უნდა იქნეს საწყისი, ხოლო გადამოწმებისას – ნარჩენი რისკი არსებული პრევენციული მექანიზმების გათვალისწინებით. რისკის დონე განისაზღვრება ალბათობის და შედეგის სიმძიმის ერთმანეთზე ნამრავლის საფუძველზე (რისკის რეიტინგი).
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დადგენილი რისკის დონე (რეიტინგი) პირდაპირ მიუთითებს იდენტიფიცირებული საფრთხის შედეგად მოსალოდნელი დაზიანების შესაძლებლობის ხარისხზე.
6. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი რისკის დონის განსაზღვრის წესი არის დამსაქმებლისათვის სახელმძღვანელო გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების შესაბამისი სახეებისა და მათი განხორციელების ვადების განსასაზღვრად

შემფასებლის სახელი და გვარი:		თარიღი:	
სამუშაო ობიექტის დასახელება:		დრო:	
სამუშაოს მოკლე აღწერა:			

ეთა		ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა	პირთა წრე	დაშავების / დაზიანების ტიპი	არსებული კონტროლის ზომები	საწყისი რისკი			დამატებითი კონტროლის ზომები	ნარჩენი რისკი			გასატარებელი ზომები / რეაგირება	შესრულება ზე პასუხისმგებელი პირი / ვადა
						ა*	შ*	რ* (აxშ)		ა*	შ*	რ* (აxშ)		

„ა“ - ალბათობა „შ“ - შედეგი (სიმძიმე) „რ“ - რისკის დონე (რეიტინგი)

რისკის შეფასების მატრიცა (სარეკომენდაციო)

5	5	10	15	20	25
4	4	8	12	16	20
3	3	6	9	12	15
2	2	4	6	8	10
1	1	2	3	4	5
	1	2	3	4	5

შედეგი.

ალბათობა

რისკის დონე = ალბათობა*შედეგზე

ალბათობა;
1.ძალიან საეჭვოა
2.საეჭვოა
3.შესაძლებელია
4.სავარაუდოა
5.განსაზღრულია

შედეგი;
1=უმნიშვნელო დაზიანების გარეშე
2 =მცირე დაზიანება საჭიროებს პირველად სამედიცინო დახმარებას
3 = ზომიერი – დროებითი შრომისუუნარობა;
4=სერიოზული – სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა

5 = კატასტროფული – სიკვდილი ან მუდმივი შრომისუუნარობა.

	შედეგი	20-25 რისკის დონე	5 - 16	3 - 4 ა x შ
		კრიტიკული	არსებითი	არაარსებითი
	კრიტიკული			20 - 25
	ძალიან მაღალი	სამუშაო უნდა შეჩერდეს.	საოპერაციო პროცედურები	სამუშაოს შესრულების
				10 - 16

მაღალი (5 - 9)	არსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება სავალდებულოა, მაგრამ დაუყოვნებლივ შეუძლებელია, და რომელიც მოცემულ მომენტში საშიშროებას არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, თუმცა მისი გამოუსწორებლობა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას მნიშვნელოვან საფრთხესშე უქმნის	გონივრულ ვადებში მიიღეთ ზომები შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით (სავალდებულოა)
საშუალო (3 – 4)	არაარსებითი შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შეჩერების გარეშე და რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის	ღონისძიებების გატარება სავალდებულოა, მაგრამ არა დაუყოვნებლივ.
დაბალი (1 - 2)	მისაღები რისკი (მათ შორის ნარჩენი რისკი)	ზომების მიღება არ არის სავალდებულო

დანართი #2

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟ უ რ ნ ა ლ ი

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი							
#	თარიღი	პირი, რამელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი (გვარი, სახელი, თანამდებობა)	დაბა დების წელი	ინსტრუქტაჟის სახეობა	ინსტრუქტორის გვარი, სახელი თანამდებობა	ხელმოწერა	
						პირი, რამელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი	ინსტრუქტ ორი

დანართი # 4

ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქტაჟზე დამსწრეთა სია

სტრუქტურული ერთეული:					
თარიღი:		დაწყების დრო:		დასრულების დრო:	
მდებარეობა:					
ინსტრუქტაჟის თემა:					
მონაწილე თანამშრომლები					
სახელი და გვარი		ხელმოწერა		საკონტაქტო ინფორმაცია	
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					
8.					
9.					
10.					
11.					
შეხვედრას არ ესწრებოდა					
1.			2.		
3.			4.		
5.			6.		
შეხვედრის საკითხები:					
რჩევები/ რეკომენდაციები ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად:					
დირექტორის/შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ხელმოწერა:					
თარიღი:					

დანართი 5. სამუშაოს დაწყების წინ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალი

თარიღი	ინსტრუქტირებულის სახელი/გვარი	ინსტრუქტირებულის პოზიცია	ინსტრუქტაჟის სახეობა (პირველადი, გეგმიური, რიგგარეშე)	რიგგარეშე ინსტრუქტაჟის მიზეზი	ინსტრუქტაჟის ჩამტარებლის გვარი/სახელი	ხელმოწერა		შენიშვნა
						ინსტრუქტაჟის ჩამტარებლის	ინსტრუქტაჟის მიმღების	

დანართი 6. ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმების

აღრიცხვის ჟურნალი

თარიღი	ტექნიკური აღჭურვილობის დასახელება	ინვენტარიზაციის #	ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობა	შემმოწმებლის ხელმოწერა	შენიშვნა

დანართი #7

შემთხვევების, ინციდენტების და პროფესიული დაავადებების ანგარიშის ფორმა

<u>მიწოდებული შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისათვის</u>

სექცია ა: ზოგადი ინფორმაცია (დაზარალებულის ინფორმაცია)	
გვარი:	სახელი:
დეპარტამენტი /ორგანიზაცია:	ვიზიტორი ☐
დაზარალებულის პოზიცია:	
საკონტაქტო ტელეფონი:	

სექცია ბ: შემთხვევის აღწერა	
შემთხვევის საათი:	დრო: თარიღი (თთ/დდ/წწწწ)შემთხვევის
მოხსენების დრო: თარიღი (თთ/დდ/წწწწ)	
შემთხვევის ადგილი: შემთხვევის მდებარეობა (ოფისი, საამქრო, პოლიგონი, შენობა, სართული, ოთახი და სხვ.):	
შემთხვევის აღწერა (მოვლენის და მისი განვითარების აღწერა, როგორ მოხდა):	
დაზიანების დეტალური აღწერა (სხეულის ნაწილების /ორგანოების მითითებით):	
უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზი/ები:	
როგორ შეიძლებოდა შემთხვევის თავიდან აცილება?	
გაეწია თუ არა დაზარალებულს პირველადი დახმარება? დიახ არა	თუ კი, ვის მიერ?
დაზარალებულის / პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:	თარიღი:

სექცია გ: ზოგადი ინფორმაცია (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ინფორმაცია)

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სახელი, გვარი:
საკონტაქტო ტელეფონი: ელ. ფოსტა
მატერიალური ზარალი დიახ არა მიახლოებითი ღირებულება
თუ პიროვნების დაზიანებას ჰქონდა ადგილი, მონიშნეთ შესაბამისი პუნქტი ☐პირველადი დახმარება არ გაწეულა, დაუბრუნდა სამუშაოს ☐პირველადი დახმარება გაეწია, დაუბრუნდა სამუშაოს ☐გასინჯა ექიმმა დაუბრუნდა სამუშაოს ☐გასინჯა ექიმმა, საჭიროა სამუშაოს გაცდენა ☐უარყო სამედიცინო დახმარება
შემთხვევის გამომწვევი მიზეზი/ები:
სექცია დ: პრევენციული ღონისძიებები
რა გამოსასწორებელი ზომები იქნა მიღებული მსგავსი შემთხვევის გამეორების თავიდან ასაცილებლად ?
მსგავს სამუშაოში ჩართულ სხვა თანამშრომლებს ჩაუტარდათ თუ არა ტრენინგი ან ინსტრუქტაჟი? დიახ არა
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კომენტარი (დამატებითი ინფორმაცია შემთხვევის შესახებ):
შრომის უსაფრთხოების თარიღი: